ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2018-1489-009

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „ბუნებრივი აირი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ქართლელიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის **(წარმომადგენლობითი ხარჯი)** დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი მიწოდების ვადები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2018 წლის 20-21 სექტემბერს ქ. თელავში ატარებს ტრენინგის თემაზე „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ბიუჯეტის გენდერული ანალიზი“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული საბჭოს წარმომადგენლებისათვის. მიმწოდებელი მიაწვდის შემსყიდველს აღნიშნულ თარიღებში ამ ტრენინგზე სხვადასხვა საკვებ პროდუქტს.

დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა (ცალი)	ერთ. ფასი	თანხა (ლარი)
პური	15800000	30	1.00	30.00
კიტრი და პომიდვრის სალათა		8	6.00	48.00
ბადრიჯანი		8	6.00	48.00
სულგუნი		8	7.00	56.00
ქათმის სალათი		8	7.00	56.00
ისპანახი		8	6.00	48.00
კალმახი		16	6.00	96.00
ხაჭაპური		8	10.00	80.00
სოკო კეცზე		8	10.00	80.00
მწვადი		17	10.00	170.00
საწებელი		8	3.00	24.00
ყავა		40	1.50	60.00
ნაბეღლავი	15980000	16	2.00	32.00
ლიმონათი		16	2.00	32.00
			მთლიანი ღირებულება:	860.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **860.00** (რვაას სამოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედდებული ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით **ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული**

პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება კახეთის რეგიონში“ (ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაცია: №1489; 08.01.2018წ) სახსრებიდან.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ამ მუხლის 5.1. პუნქტში აღნიშნულ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს მოაწერს „ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი: **ნათია ფიცხელაური** – რეგიონული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან და მატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი;
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საიდ. კოდი: 203860679 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 2234499; 1481 (ცხელი ხაზი) ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900	შპს „ბუნებრივი აირი“ საიდ. კოდი: 231251007 მის: ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის ქუჩა N1 ტელ: +995 0350 27 07 07 ელ-ფოსტა: oldtelavi@gmail.com სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE46BG 0000 0003 4681 3200
საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია	დირექტორი გიორგი ქართლელიშვილი

ინფორმაცია N2018-1489-009
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 19 სექტემბერს 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ნინო ლომჯარია (საქართველოს სახალხო დამცველი - ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი), მაია ლიპარტელიანი (სახალხო დამცველის აპარატის მთავარი მრჩეველი იურიდიულ საკითხებში), მარიამ კვიციანი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი), ნინო ჟორჟოლიანი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი) და ნათია ფიცხელაური (რეგიონული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხიმგებელი პირი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წლის 19 სექტემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულება N2018-1489-009-ის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მე–8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ნინო ლომჯარია _____

მაია ლიპარტელიანი _____

მარიამ კვიციანი _____

ნინო ჟორჟოლიანი _____

ნათია ფიცხელაური _____